საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/364 "26" დეკემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13^1 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

თ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ი) ახალციხის რაიონული სასამართლო - 3 საშტატო ერთეული;

კ) ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ადიგენის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ლ) ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ასპინძის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

მ) ოზურგეთის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;

ნ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ო) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედას მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

პ) ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე შუახევის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2019 წლის 26 დეკემბრიდან 2020 წლის 7 იანვრის ჩათვლით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი